ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N80

2023 წლის 19 დეკემბერი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის დამტკიცების შესახებ" ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბრის N96 განკარგულება.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, კოსტავას ქუჩა N13.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს 2024 წლის 01 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ასლან საგანელიძე**

დანართი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის აღწერა და აქტუალობის დასაბუთება

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს (საჯარო სკოლების მოსწავლეებს) მეტ-ნაკლებად შეზღუდული აქვთ შესაძლებლობა დაისვენონ აქტიურად, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდულ პროექტებსა თუ საგანმანათლებლო აქტივობებში, რომელიც დაეხმარება მათ სხვადასხვა უნარების განვითარებაში, საზოგადოებაში ინტეგრაციასა და სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლებაში, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში. სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს, ხშირ შემთხვევაში, ფინანსური პრობლემების გამო, საშუალება არ აქვთ შეიცვალონ საცხოვრებელი გარემო, დაისვენონ ახალგაზრდულ ბანაკებში.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ახალგაზრდების:

ა) მოტივირება-წახალისება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ჩართულობის უზრუნველყოფა;

ბ) საკუთარი ნიჭის, შესაძლებლობების გამოვლენის ხელშეწყობა;

გ) სწორი შეხედულებების ჩამოყალიბება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით;

დ) სამოქალაქო საზოგადოების ღირსეულ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის ბენეფიციარები

პროგრამის ბენეფიციარია:

ა) ახალგაზრდა, რომელმაც 2023–2024 სასწავლო წელს დაამთავრა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასი და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 150 001-ს (ბენეფიციართა შერჩევისას ყურადღება გამახვილდება აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურად დაუცველთა სარეიტინგო ქულაზე);

ბ) ახალგაზრდა, რომელმაც გაიმარჯვა ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ სხვადასხვა ტიპის კონკურსში;

გ) ახალგაზრდული ბანაკის ხანგრძლივობაა არაუმეტეს 10 (ათი) დღე.

მუხლი 4. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

დაინტერესებულმა პირმა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი ან/და დაბადების მოწმობის ასლი;

გ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

დ) ცნობა საჯარო სკოლიდან, რომლითაც დასტურდება აღნიშნული მოსწავლის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მეთერთმეტე კლასის მიმდინარე სასწავლო წელს დამთავრების ფაქტი. ცნობას უნდა დაერთოს ინფორმაცია

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ (მხოლოდ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდის შემთხვევაში);

ე) ცნობა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს" რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრიდან დაინტერესებული პირის ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ (მხოლოდ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდის შემთხვევაში);

ვ) დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ კონკურსში გამარჯვება (მხოლოდ კონკურსის გამარჯვებული ახალგაზრდის შემთხვევაში).

მუხლი 5. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრირება

პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. სამსახურის პასუხისმგებლობაა (წარმოდგენილი მასალების შესაბამისად) პროგრამის ბენეფიციარები შეარჩიოს მიუკერძოებლად.

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელებით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს (საჯარო სკოლის მოსწავლეებს) საშუალება მიეცემათ წარმოაჩინონ და განავითარონ საკუთარი შემოქმედებითი, კულტურული და სპორტული უნარები. გაიზრდება მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხარისხი.

მუხლი 8. პროგრამის განხორციელების ვადები

პროგრამის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2024 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულება

პროგრამაში ცვლილებების ინიცირება შეუძლია, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს დამოუკიდებლად ან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე.